შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№913(W)/ 17. 10. 2017 წ.

პროექტის ექსპერტიზა

ქ.თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ, (საკ. კოდი №01.11.12.015.085) შპს "ალმა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (შენობა-ნაგებობებით) ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება

თბილისი

2017 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, გლდანი, მიკრო/რაიონი I, ახმეტელის მეტროს მიმდებარედ, შპს "ალმა"-ს წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დამევალა შემოწმება ჩამეტარებინა მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე გამოკვლეული და შესწავლილი გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

პირველ რიგში შევისწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაყარი ფენის შემდგომ გვხდება მოყვითალო-მონაცრისფრო არგილითები და ძირითადი ქანები გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა, რომლის სიმტკიცის კოეფიციენტი (R_c-1.9 კგ.ძ/სმ^2) მოცემულ სადემონტაჟო პროექტთან მიმართებაში წარმოდგენილი საანგარიშო წონა და ლაბორატორიული მონაცემები საკმარისად მარტივი კატეგორიისაა საძირკვლების დემონტაჟის თვალსაზრისით (ფენა №3). წარმოდგენილი გარემო-ფაქტორებით გეოლოგიური კვლევის შედეგად განსაზღვრულია სადემონტაჟო შენობა-ნაგებობების ფუნდამენტის ჩაღმავების დონე არაუმეტეს 1.60 მეტრის სიღმით. აღნიშნულ ლაბორატორიულ კვლევებში და ანალიზებში არსებულ ტერიტორიაზე გავრცელებული არ არის აგრესიული გრუნტის წყლები, რომელიც მოცემული ფენებიდან განისაზღვრა შრე №3 და №4, რის საფუძველზეც მოცემულ ანგარიშებში და ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლებში გეოლოგიური კვლევის შედეგად იქნა დადგენილი. გამოკვლეული სინჯებისა და გეოლოგიური პირობების მიხედვით, მოცემული სამუშაოები ჩატარებულია ჯეროვნად ლაბორატორიული ანალიზებისა და მოცემული ჭრილების შესაბამისად.

მოცემული გეოლოგიური პირობები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით წარიმართოს სადემონტაჟო შენობების საძირკვლების დონეების განსაზღვრა და ნორმების მიხედვით სამუშაოების წარმოება. გეოლოგიური მონაცემების მიხედვით



აღნიშნულ უბანზე გავრცელებულია ძირითადად მოყვითალო-მონაცრისფრო არგილითები თიხები და ქვიშაქვების ფენა, რომელიც ძლიერ არის გამოფიტული. აქედან გამომდინარე გრუნტის დამუშავება სადემონტაჟო სამუშაოების პროცესში არ ქმნის სირთულეს. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები განხორციელებულია სრულიად ჯეროვნად კონსტრუქციულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი საპროექტო დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემები, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე გეოლოგიური მონაცემები და მასში მოცემული საანგარიშო კოეფიციენტები საკმარისად დამაკმაყოფილებელია და შესწავლილი მოცემული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელებისათვის.

დირექტორი: ალექსანდრე ყურაშვილი

ინჟინერ-გეოლოგი: გოჩა ტატინაშვილი